ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 20 0000797122

08/09/2020

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომგადაწყვიტა:

1. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას (ს/კ 237113075) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 აგვისტოდან.
2. . ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით.
3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის N796323 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია